



ქართული უნივერსიტეტი



შეკითხვები მთარგმნელ/თარჯიმანთა II და III გამოშვების მსმენელებს:

მჭედლიძე თამუნა

- 1. რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე ინგლისურის ენის სპეციალობით (მაქვს მაგისტრის ხარისხი), მსურდა დაეუფლებოდი მთარგმნელ/თარჯიმანის პროფესიას, რადგან ჩემი აზრით მხოლოდ უცხო ენის განხრით მიღებული თეორიული განათლება არ არის საკმარისი იმისათვის რომ იყო პროფესიონალი პრაქტიკოსი მთარგმნელი ან თარჯიმანი.
- 2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
სწავლება ორგანიზებული იყო მაღალპროფესიულ დონეზე, რაც გამოიხატება სწავლების მეთოდოლოგიაში, კარდოდ, კარგად დაგეგმილ, შედგენილ და განხორციელებულ სასწავლო კურსში.
- 3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
ყველა მასწავლებელი, რომელთანაც გავიარეთ სასწავლო კურსით გათვალისწინებული ესა თუ ის ასპექტი, არის მაღალკვალიფიციური და თავისი საგანში მოწოდების სიმაღლეზე დგას. მათთან მუშაობა

იმლევა დიდ გამოცდილებას და წარმოადგენს ნამდვილ სიამოვნებას ცოდნის მიღების მსურველისათვის.

- 4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად გაამართლა მოლოდინმა, რადგან კურსის დასრულების შემდეგ, და რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საკუთარ თავზე მუშაობის შედეგად, რაც კურსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კურსდამთავრებულს აქვს რწმენა თავის ცოდნისა და შეუძლია დამსახურებული ადგილი დაიკავოს პროფესიონალ მთარგმნელ/თარჯიმანებს შორის.
- 5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
მსურს მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებს ვუსურვო წარმატება და ბევრი პროფესიონალი თარჯიმანისა თუ მთარგმნელის გამოშვება. ბატონო ოთარ, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს მიერ დაფუძნებული ეს კურსი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო განვითარდება, გაფართოვდება და ღირსეულ ადგილს მოიპოვებს იმ სპეციალობებს შორის, რომლებიც წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში ისწავლება.

კირკიტაძე თინათინი

1. რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?
კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ცოდნის გასაღრმავებლად, და კიდევ იმ სურვილით, რომ შევძლებდი მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.
2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?
სწავლება საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული.
3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?
მასწავლებლები არიან ნამდვილი პროფესიონალები, მონდომებულები, გულისხმიერები, მეგობრულები.
4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?
შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მოლოდინი გამართლდა. თქვენს

კურსებზე ჩაბარების მსურველებს კი ვურჩევდი, რომ აუცილებლად ჩააბარონ, არ ინანებენ ☺, აქ დახარჯული დრო და ენერგია ნამდვილად არ იქნება ფუჭი და ამ კურსების დასრულების შემდეგ მათი ცოდნა საგრძნობლად გაღრმავდება.

5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.
მინდა, რომ კურსებზე ჩაბარების მსურველების რიცხვი გაიზარდოს, და მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილების გრძნობა არ მქონია ამ კურსების დასრულების შემდეგ, სასწავლო პროცესი კიდევ მეტად დაიხვეწოს; ეს კურსები გახდეს დაინტერესებული საზოგადოებისთვის უფრო ცნობილი (საუკეთესო, ჩემი აზრით, ისედაც არის მთელ საქართველოში) და მისი კურსდამდავრებულები – წარმატებულები.

უნაფქოშვილი დიანა

1. რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?
მთარგმნელ /თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება გადაწყვიტე ცოდნის გაღრმავების მიზნით.
2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?
სწავლება იყო ძალიან მაღალ დონეზე ორგანიზებული.
3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?
მასწავლებლები გამოირჩეოდნენ, როგორც უმაღლესი დონის პროფესიონალიზმით, ასევე განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით.
4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს

კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?
ჩემი მოლოდინი ნამდვილად გამართლდა, ბედნიერი ვარ თქვენთან სწავლის შესაძლებლობა რომ მომეცა. თქვენს კურსებზე ჩაბარების მსურველებს ვურჩევდი, ჩაბარებამდე აიმაღლონ საბაზისო ცოდნა, რათა სწავლის პერიოდი დაეთმოს თარგმნის დახვეწას და არა ენობრივი ხარვეზების გამოსწორებას.

5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.
კურსები ძალიან კარგად არის ორგანიზებული, უბრალოდ ჩემი სურვილია, დაამატოთ კიდევ ერთი სემესტრი სადაც შესაძლებელი იქნება საგნების არჩევა.

წიკლაური ნანა

- 1. რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება გადავწყვიტე ინგლისურის ცოდნის გაღრმავების მიზნით.
- 2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
სწავლება, ნამდვილად, კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ მომავალში მოხდება დონეების მიხედვით კურსების ორგანიზება, მაგ. თუ იქნება A, B ...დონეები და სტუდენტს შეეძლება ერთი დონის დასრულების შემდეგ სურვილისდა მიხედვით სწავლის შემდეგ დონეზე გაგრძელება. და კიდევ კარგი იქნება ამ დონეების გარდა, ან მათი დასრულების შემდეგ, ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, შესაძლებელი რომ იყოს ჩვენთვის სასურველი ლექციების არჩევა იმისდა მიხედვით, თუ თარგმანის რომელ სახეობაში გამოავლენს სტუდენტი ნიჭს.
- 3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
მასწავლებლები არიან თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტები და თითოეული განურჩევლად ძალიან კარგი პიროვნებაა.
- 4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
ჩემი მოლოდინი ნამდვილად გამართლდა და კიდევაც მსურს, თუ მოგვეცემა საშუალება, თქვენთან სწავლა გავაგრძელო. სხვა მსურველებს ვურჩევდი, რომ აუცილებლად ჩააბარონ თქვენთან, ვინაიდან ცოდნას ნამდვილად მიიღებენ, დახვდებით კვალიფიცირებული კადრი და სასიამოვნო გარემო - ალჭურვილი სათანადო აპარატურით.
- 5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
გისურვებთ წარმატებებს, მომავალში ბევრ ნიჭიერ და წარმატებულ მოსწავლეს.

წერეთელი ანა

- 1. რატომ გადაწყვიტეთ მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?**
აღნიშნულ კურსებზე ჩაბარება გადავწყვიტე, რადგან მინდოდა შემესწავლა თარგმანის ტექნიკა, რაც მომავალში დამეხმარება უფრო პროდუქტიულად გამოვიყენო ჩემი ცოდნა.
- 2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?**
სწავლება დაგეგმილი იყო საკმაოდ ორგანიზებულად და მოიცავდა მხოლოდ იმ კონკრეტულ საგნებს, რომლებიც სამომავლოდ იქნება ჩვენთვის სასარგებლო.
- 3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?**
რაც შეეხება მასწავლებლებს, კურსი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. რაც მთავარია, გარდა თეორიული მხარისა, მათ გააჩნიათ დიდი პრაქტიკული გამოცდილება თარგმანის სფეროში.
- 4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?**
მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლესი კურსები დამეხმარა როგორც ცოდნის გაღრმავების მხრივ, ასევე მომიხსნა კომპლექსი და აუდიტორიის შიში. ვთვლი, რომ ეს კურსი უნდა გაიაროს ყველამ, ვისაც სურს, რომ გახდეს პროფესიონალი. პირადად მე სულ სხვა თვალთ დამანახა თარგმანი, როგორც ხელოვნება.
- 5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.**
ერთადერთი სურვილი მექნებოდა, ერთი სემესტრის დამატება რომ იყოს შესაძლებელი, სიამოვნებით გავივლიდი.

ჩაკვეტაძე მაია

1. რატომ გადაწყვიტეთ

მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს კურსებზე ჩაბარება?

პირველ რიგში, აღნიშნულ კურსზე ჩაბარება გადაწყვიტე იმიტომ, რომ 7 წელია უკვე თარგმნით ვარ დაკავებული და ეს ჩემი ყოველდღიური საქმიანობაა. ვინაიდან თარგმნა დაკავშირებულია ე.წ. გამოწვევებთან, ხოლო ენა კი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ყოველდღე ვითარდება, საჭირო გახდა ახალი უნარ-ჩვევების შეძენა და ლექსიკური მარაგის განახლება. ბოლოს, რაც გადამწყვეტია, მქონდა ცოდნის შეძენის, წინსვლისა და განვითარების დიდი სურვილი.

2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?

სწავლება ორგანიზებული იყო სათანადოდ. განრიგი შეთანხმებული და მოწესრიგებული.

3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობა მომიწია პროფესიონალებთან, ინტელექტუალურ წრესთან და თანამედროვე შეხედულებების მქონე წამყვან სპეციალისტებთან ქვეყნის მასშტაბით.

4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?

მოლოდინი ნაწილობრივ გამართლდა. თუმცა “სიურპრიზებიც” იყო (სასურველი და არასასურველი). სამწუხაროა, რომ პირადად მე ვერ შევძელი მთელი ძალისხმევის ჩადება სწავლის პროცესში, სხვადასხვა მიზეზების გამო. ერთადერთი, ვფიქრობ, სინქრონული თარგმნის გაკვეთილების გავლა პირველივე სემესტრიდან უფრო ეფექტური იქნებოდა მომავალი თარჯიმნებისთვის.

სხვა მხრივ, მივიღე ის, რაც მჭირდებოდა. კურსზე ჩაბარების მსურველებს ვურჩევდი სათანადოდ მოემზადონ (ინტელექტუალურად და ფსიქოლოგიურად); ჰქონდეთ მტკიცე მოტივაცია, მიზანი და სიყვარული იმისა, რისკენაც მიისწრაფიან. მათ კარგად უნდა გაიაზრონ, რომ თარჯიმნობა არ ნიშნავს მხოლოდ რომელიმე უცხო ენის ცოდნას. უპირველეს ყოვლისა, იმისთვის, რომ გახდნენ პროფესიონალი თარჯიმნები, ბრწყინვალედ უნდა ფლობდნენ მშობლიურ ენას, იყვნენ ერუდირებულნი, გაეცნონ ინფორმაციას თანამედროვე მასმედიის საშუალებებით (სხვადასხვა ენაზე), ივარჯიშონ მეხსიერების გაუმჯობესებაში, იყოვნენ მოხერხებულნი და უყვარდეთ თარგმნა! P.S. თუ ძალიან მეტიჩრული არ იქნება ჩემი მხრიდან, ისწავლონ რუსული ენა, ეს ძალიან დაეხმარებათ კარიერის გაკეთებაში.. :)

5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.

კურსის განვითარების ფარგლებში, სასურველია მე-2, მე-3 სემესტრიდან პრაქტიკული გასვლების დაგეგმვა (კონფერენციები, სხვადასხვა შეხვედრები); რეალურ გარემოში მომავალი თარჯიმანი ყველაზე კარგად გაიაზრებს და გაითავისებს ამ პროფესიას. “ცოცხალ” ვითარებაში ის დაინახავს და შეიგრძნობს იმ ნიუანსებს, რომელსაც კლასში ვერასდროს ვერ მიაღწევს. ამ შესანიშნავ კურსს ვუსურვებ წინსვლას, წარმატებებს და პირველობას არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბითაც! და რაც ყველაზე მთავარია, დიდი მადლობა თქვენ, ბატონო ოთარ, როგორც სულისჩამდგმელს ამ კურსისა, დიდი და სასიკეთო საქმის განხორციელებისთვის!

ნიქაცაძე ქეთევანი

1. რატომ გადაწყვიტეთ

მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს
კურსებზე ჩაბარება?

თარჯიმნის როლი, როგორც
მედიატორის, მეტად
მნიშვნელოვანია. თავად თარგმნის
ხარისხი განაპირობებს კომუნიკაციის
შედეგს. ხარისხის მოპოვება კი არც
ისე მარტივია. სწორედ ეს იყო
მთარგმნელ/თარჯიმანთა უმაღლეს
კურსებზე ჩაბარების უმთავრესი
მიზეზი. აქ სტუდენტებს ეძლევათ
საკუთარი თავის კარგად შეფასების
და საგრძნობლად გაუმჯობესების
შესაძლებლობა.

2. როგორ იყო ორგანიზებული სწავლება?

სწავლის ორგანიზებას რაც შეეხება,
იგი იყო შესანიშნავად
ორგანიზებული.
გათვალისწინებული იყო ყველა,
უმნიშვნელო დეტალიც კი. რაც
მთავარია, ის იყო ორიენტირებული
არა მხოლოდ ლექტორებზე, არამედ
სტუდენტებზე. ეს კურსები არის
ხარისხის გარანტი.

3. რას იტყოდით მასწავლებლების შესახებ?

სტუდენტისთვის სწავლის
პერიოდში გადამწყვეტი
მნიშვნელობა სწორედაც
მასწავლებელს ენიჭება. პირადად
ჩემს შემთხვევაში, ეს ერთ-ერთი
უმთავრესი პირობაა. ამ კურსის

წარმატებულობა და ხარისხიც
სწორადაც მაღალ-
კვალიფიცირებული, შესანიშნავი
პიროვნული თვისებების
დამსახურებაა. ლექტორები
ყოველთვის გვერდში გვედგნენ
ნებისმიერ საკითხთან
დაკავშირებით, და ასევე ჩვენს
გვერდით არიან კურსის
დამთავრების შემდეგაც.

4. გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინი და რას ურჩევდით ჩვენს კურსებზე ჩაბარების სხვა მსურველებს?

კურსებმა ნამდვილად გაამართლა
მოლოდინი. კურსი ითვალისწინებდა
სწორად იმას, რაც ზოგადად აკლიათ
უნივერსიტეტებს. იყო საჭირო
დოზით თეორია და საკმაოდ დიდი
პრაქტიკა. ეს უკანასკნელი კი,
როგორც მოგეხსენებათ, თეორიაზე
მეტადაა საჭირო. ვისაც კი სურს
საკუთარი თავი ამ სფეროში უფრო
მაღალ საფეხურზე აიყვანოს,
უდავოდ უნდა ისარგებლოს ამ
შესაძლებლობით.

5. თქვენი სურვილები კურსების მიმართ.

კურსებს ვუსურვებ იყოს კიდევ
უფრო მეტად პრაქტიკული, და
ჰყავდეს მეტი სტუდენტი. და მის
სტუდენტთა რიგებში იყოს არა-
ერთი საერთაშორისო დონის
მთარგმნელ/თარჯიმანი.